საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3644/01
12/04/2022

3644-01-2-202204121635

შპს „ჯეუ გრუპს“

მის: თბილისი, 26 მაისის მოედანი 2, 1 შენობა, 6 სართ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 16 მარტის №5811 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბენარაში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი სამსხვრევი დანადგარი და ბეტონის კვანძი ეწყობა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან 2021 წლის 24 აგვისტოს №9035/01 წერილით შეთანხმებული აბასთუმნის შემოსასვლელი საავტომობილო გზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში მოსაწყობი სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე, რომელსაც სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრება დინამიკაში მყოფი მეწყრული სხეული, რომლის აქტიურობის ხარისხი მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული მდ. ქვაბლიანის მარცხენა ნაპირზე მიმდინარე ეროზიულ პროცესებთან. აქედან გამომდინარე, სამსხვრევი დანადგარის და ბეტონის კვანძის მოწყობა-ექსპლუატაციის პროცესში ეს გარემოება აუცილებლად უნდა იქნას გათვალისიწინებული, რათა არ მოხდეს ეროზიულ-მეწყრული პროცესების კიდევ უფრო მასშტაბური გააქტიურება. სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელდეს დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) კვლევების საფუძველზე შედგენილი პროექტის მიხედვით, ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით;
- სკრინინგის განცხადებაში, გათვალისწინებული უნდა იქნეს საქმიანობის განხორციელებისას მდ. ქვაბლიანში რაიმე სახის დამაბინძურებელი ნივთიერებების ჩაშვებისა და მტვრის გავრცელების პრევენციული ღონისძიებები;
- დოკუმენტში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, 3.6 თავში მითითებულია, რომ სასარგებლო წიაღისეულის საწარმოს სამუშაო საათების ხანგრძლივობა შეადგენს 1000 სთ/წ-ს (125 სამუშაო დღე, 8 საათიანი რეჟიმით), რა დროსაც 260 ტ/სთ წარმადობის სამსხვრევი დანადგარის მუშაობის პირობებში ადგილი ექნება 260 000 ტონა ნედლეულის გადამუშავებას. ამასთან, 3.8 თავში აღნიშნულია, რომ საწარმოში დასამონტაჟებელი საპროექტო სამსხვრევი

დანადგარის („Aymak“) მაქსიმალური წარმადობა შეადგენს 100 $მ^3$/სთ-ს. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს საპროექტო წარმადობა;

- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ „საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი პუნქტი სოფლის მეურნეობის შენობა-ნაგებობები (ფერმები) 227 მეტრით არის დაშორებული“, დაზუსტებას საჭიროებს სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის განთავსების ადგილიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორების მანძილი, შესაბამის სიტუაციურ რუკაზე დატანით;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში მოხდება ფუჭი ქანების გადამუშავება, თუმცა საწარმოს მუშაობის ციკლის აღწერაში აღნიშნულია (გვ. 10), რომ საწარმოს ტერიტორიაზე ავტოთვითმცლელებით მოხდება ბალასტის შემოტანა. სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს გადასამუშავებელი ნედლეულის სახეობა;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულ სამსექციიან სალექარში დაგროვილი ლამის შემდგომი მართვის შესახებ;
- დოკუმენტში დასაზუსტებელია როგორც წყალაღების წერტილიდან საპროექტო ტერიტორიამდე, ისე სალექარიდან წყალჩაშვების წერტილამდე გათვალისწინებული მილების სიგრძე;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, „კომპანიის ტექნიკისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართვა (მათ შორის ზეთის შეცვლა), უშუალოდ საწარმოს განთავსების ტერიტორიაზე არ იწარმოებს“. ამასთან, სიტუაციურ გეგმაზე (გვ. 40) წარმოდგენილია საწვავის ავზის განთავსების ადგილი. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული საკითხი;
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია, საწარმოს ექსპლუატაციის ხანგრძლივობის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე